

შპს „მწვანე სამყარო“

სს 404525064

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
აქსნა-განმარტებით შენიშვნები	7
ზოგადი ინფორმაცია	12
ძირითადი სააღრიცხეო პოლიტიკა	13
სხვა ინფორმაცია	21

შპს „მწვანე სამყარო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
(ლარიში)	შენიშვნა	2018	2017	
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	14,815.37	5,170.63	
არამატერიალური აქტივები	5	1,084.57	-	
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,899.94	5,170.63	
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულიან გათანაბრებული იმსტრუმენტები	6	485,168.42	120,979.34	
საეკპრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	105,251.52	120,835.83	
მარაგები	8	938,955.89	1,035,358.22	
წინასწარ გადახდილი გადასახადები		(33,999.11)	(105,360.39)	
გაცემული სესხები		-	-	
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,495,376.72	1,171,813.00	
სულ აქტივები		1,511,276.66	1,176,983.63	
მალიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(399,440.57)	(258,311.35)	
სულ კაპიტალი		(399,440.57)	(258,311.35)	
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	-	204,784.88	207,072.79	
საეკპრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1,656,485.18	1,274,223.28	

საგადასახადო ვალდებულებები		49,447.17	(46,001.09)
სულ მოგოვადიანი ვალდებულებები		1,910,717.23	1,435,294.98
სულ ვალდებულებები		1,910,717.23	1,435,294.98
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,511,276.66	1,176,983.63

ბუღალტერი:

მ. ბაქაძე



30 სექტემბერი 2019

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშზე 2018 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარიში)	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	11	932,568	385,277
თვითღირებულება	12	(570,452)	(187,152)
საერთო მოგება		362,116	198,125
სხვა შემოსავლები	13	(201,459)	(99,535)
ფიზიკური და ადმინისტრაციული ხარჯი	14	-	(2,000)
მოწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	15	(329,827)	(132,826)
სხვა ხარჯები		(169,170)	(36,236)
საოპერაციო მოგება		21,123	7,978
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(13,536)	(223,387)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(161,583)	(251,646)
მოგება დაბეგვრამდე		-	-
მოგების გადასახადი		(161,583)	(251,646)
წმინდა მოგება		-	-
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
გადაფასების რეზერვი		(161,583)	(251,646)
მთლიანი სრული შემოსავალი		-	-

ბუღალტერი:

ა. მამუკაძე



საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მოლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი		-258,311	
წმინდა მოგება/ ზარალი			
პერიოდის სრული შემოსავალი		-141,129	
საწესდებო კაპიტალის ზრდა			
2018 წლის 31 დეკემბერი		-399,441	



ბუღალტერი:

ა. ჯაფარიძე

შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

ლარი	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოჯარი აღებული ქანების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ბიოლოგიური აქტივი	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	ჯამი
2017 წლის ბოლის მდგომარეობით	-	-	3,743	-	-	2,319	-	-	6,062
შესყიდვა	-	-	7,338	-	-	4,388	-	-	11,726
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-	-
შიდა ჯგუფური რეკლამირება	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის ბოლის მდგომარეობით	-	-	11,081	-	-	6,707	-	-	17,788
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის ბოლის მდგომარეობით	-	-	572	-	-	320	-	-	892
ცვეთის ხარჯი	-	-	1,501	-	-	580	-	-	2,081
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის ბოლის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-	2,973
სამალაშის ღირებულება	-	-	3,171	-	-	1,999	-	-	5,170
2017 წლის ბოლის	-	-	11,081	-	-	6,707	-	-	14,815
2018 წლის ბოლის	-	-	-	-	-	-	-	-	-

შენიშვნა-5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2017 წლის ბოლოს	-			-
შეზღუდული	1,100			1,100
გაყიდვა				-
2018 წლის ბოლოს	-	-	-	1,100

დაგროვილი ამორტიზაცია

2017 წლის ბოლოს	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	-			-
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია	15			15
2018 წლის ბოლოს	15	-	-	15

სამალანსო რირებულება

2017 წლის ბოლოს	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	-	-	-	-
	1,085	-	-	1,085

მარაგები

შენიშვნა-8

	31/12/2018	31/12/2017
ლარში	-	-
შხა პრიდუქცია	-	-
ნედლეული	-	-
დაუმუშავებელი წარმოება	928,501	1,034,100
საჭინელი	10,455	1,258
სხვა მარაგები	938,956	1,035,358

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

შენიშვნა-7

	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	105,252	120,836
საექვო ვალუტის ანარიცხების რეზერვი	-	-
სხვა მოთხოვნები	-	-
	105,252	120,836

**ფული და ფულთან გათანაბრებული
ინსტრუმენტები**

შენიშვნა-6

	31/12/2018	31/12/2017
ლარში	1,096	4,161
ფული სალაროში	484,072	116,818
ფული საბანკო ანგარიშებზე	485,168	120,979

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარი	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები	1,620,154	1,258,259
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	36,332	15,964
სხვა ვალდებულებები	-	-
	1,656,485	1,274,223

აქონებები

ლარი	31/12/2018	31/12/2017
მზა პროდუქციის რეალიზაცია	931,908	384,719
წედლეულის რეალიზაცია	-	-
მომსახურების რეალიზაცია	660	558
	932,568	385,277

თვითღირებულება

ლარი	31/12/2018	31/12/2017
გასული ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებულება	-	-
წედლეულის თვითღირებულება	570,452	187,152
მომსახურების თვითღირებულება	-	-
	570,452	187,152

შენიშვნა-14 მიწოდების და მარგებლების დანახარჯები

	31/12/2018	31/12/2017
სარეკლამო ხარჯები	-	2,000
	-	2,000

შენიშვნა-15 სხვა ხარჯები

ლარი	31/12/2018	31/12/2017
საკანცელარიო ხარჯი	834	563
დედთა და ამირტოზაცია	2,096	891
ბანკის მომსახურება	1,114	793
ოჯარის ხარჯი	6,936	9,640
მოვლონების ხარჯები	1,321	2,235
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	8,056	9,680
საწვავის ხარჯი	17,613	6,914
სხვა ხარჯი	291,857	102,110
	329,827	132,826

შენიშვნა-13 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2018	31/12/2017
შრომის ანაზღაურება	201,459	99,535
	201,459	99,535

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მწვანე სამყარო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 15 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტფიკაციო ნომრით - 404525064, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კაფხაზის ქ., N44, ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გივი კარტოზიას ქ. N8, კორპ 1.

შპს „მწვანე სამყაროს“ დირექტორია: ხაურეს ფერრამ მარტინეზი (A2080331100, AAH171113)

კომპანიის მეწილეებია:

1. ხოსე საიზ გომეზი (A1373003800, BE557920) – 60% წილის მფლობელი;
2. ხაურეს ფერრამ ფერრერ მარტინეზი (A2080331100, AAH171113) – 10% წილის მფლობელი;
3. ელიზავეტა თოფურიძე (01024058600) – 30% წილის მფლობელი;

შპს „მწვანე სამყაროს“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამწვანების სამუშაოები ხე-მცენარეებითა და მწვანე ნარგავებით ვაჭრობა მთელი საქართველოს მასშტაბით, ჩვენი სანერგეები საქართველოში წარმოდგენილია - ქ. ბათუმში, ხელვაჩაური, ს. შარაბიძეები.

კომპანია დაარსებიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში და კეთილსინდისიერად და პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

2. ძირითადი საადრინგზო პოლიტიკა

ძირითადი საადრინგზო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნაშთით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ხორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთიულის კოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვლას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის

გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის ალიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი ალიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი ალიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი ალიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნებზე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც განგარიშებულია თავდაპირველად ალიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის ალიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსხმებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

კომპიუტერული ტექნიკა	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
ავტო და სხვა ინვენტარი	5-10
	5-10

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შეძირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის/მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გაუწევს ფაქტობრივად მომსახურებას/მიაწოდებს საქონელს.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე, კომპანია მიაწოდებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შესრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისა და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

3. მნიშვნელოვანი საღრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საღრიცხო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ

საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანთა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. ორგანიზაციის სახელზე 2019 წლის მონაცემებით ირიცხება სასამართლო დავა, რომელშიც ჩვენი კომპანია წარმოადგენდა მოპასუხეს, ხოლო დღეის მდგომარეობით შეგებულ სარჩელის საფუძველზე წარმოადგენს მოსარჩელეს, დავის არსის შინაარსობრივი მხარე ეხება თავდაპირველი მოსარჩელის მიერ შპს „მწვანე სამყაროსა“ და მოსარჩელეს შორის არსებული მოქმედებების ხელშეკრულების თანახმად თანხების დაკისრებას, ჩვენი პოზიცია აღნიშნულ სამოქალაქო დავაში მყარი არგუმენტებით არის დასაბუთებული, რომლის მიხედვითაც თავდაპირველი მოსარჩელეების მოთხოვნა ჩვენს წინააღმდეგ (თანხის დაკისრების ნაწილში) მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ მტკიცებულებას, რომლის ერთგვარი დადასტურებაც გახლავთ 2019 წლის 30 ივლისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა ჩვენი მოთხოვნა შეგებულ სარჩელის მიღების თაობაზე, მიღებული განჩინება წინგადგებული ნაბიჯია შპს „მწვანე სამყაროსთვის“.

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების რეგისტრაციის თარიღამდე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

სხვა ინფორმაცია

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს მწვანე სამყარო-ს ხელმძღვანელობა. თანდართული ინფორმაცია მოიცავს :

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად;
 - ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
 - დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:
- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
 - აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
 - მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
 - თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.
- 2017-2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელების მიერ და ხელმოწერილია



დირექტორის მინდობილი პირი: ა.დათაშვილი

მთ. ბუღალტერი: ა.დათაშვილი

30 სექტემბერი 2019წ